

## სქოლიო

ნაშრომში სქოლიო მიუთითეთ ქვედა ხაზს ქვევით, სქოლიოს დანომვრა მოაქციეთ წერტილის შიგნით. მაგალითად ⇒ **ქართული უნივერსიტეტი დაარსდა 2008 წელს<sup>1</sup>**.

წყაროს განმეორებით გამოყენების შემთხვევაში არ არის აუცილებელი წყაროს სრულად მითითება, შეგიძლიათ მოუთითოთ მოკლედ, მაგალითად: ⇒ ერთ ავტორიანი წიგნის შემთხვევაში წყაროს პირველად გამოყენების დროს დაწერეთ **ავტორი. წიგნის დასახელება. გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი. გვერდი**. ხოლო შემდეგი გამოყენების დროს მოკლედ დაწერეთ **წიგნის ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, წიგნის დასახელება გვერდი** (სხვა მაგალითები დაწვრილებით შეგიძლიათ იხილოთ „სქოლიო-ბიბლიოგრაფიის მითითების წესში“).

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

ნაშრომს ბოლოში თან დაურთეთ გამოყენებული ლიტერატურა. პირველ რიგში ანბანის მიხედვით დაწერეთ ქართული ლიტერატურა, შემდეგ ინგლისური, რუსული და ა.შ.

სქოლიო-ბიბლიოგრაფიის გამოყენების დროს იხელმძღვანელებთ ქვემოთ დაწერილი „სქოლიო-ბიბლიოგრაფიის მითითების წესის“ მიხედვით. ამ წესის დაუცველობის შემთხვევაში ავტორს ნაშრომი დაუბრუნდება შესასწორებლად.

## სქოლიო-ბიბლიოგრაფიის მითითების წესი

### 1. წიგნი

**ა. ერთი ავტორი:** ავტორი. წიგნის დასახელება. გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი. გვერდი.

მაგ: **სანდრო სანგუძე**. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2018, გვ. 17 (რამდენიმე გვერდის შემთხვევაში: გვ. 19-21.)

#### **მოკლედ:**

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, წიგნის დასახელება (გრძელი სათაურის შემთხვევაში დასაშვებია სათაურის მოკლედ მითითება), გვერდი.

მაგ: **ს. სანგუძე**. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გვ. 17.

**ბ. ორზე ავტორი:** ავტორი 1 და ავტორი 2. წიგნის დასახელება. გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი. გვერდი.

მაგ: **სანდრო სანგუძე, გიორგი გიორგაძე**. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, გვ. 19.

---

<sup>1</sup> **სანდრო სანგუძე**. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2018, გვ. 17

**მოკლედ:**

ავტორების სახელების ინიციალები და გვარები. წიგნის დასახელება. (გრძელი სათაურის შემთხვევაში დასაშვებია სათაურის მოკლედ მითითება), გვერდი.  
მაგ: ს. სანგუძე, გ. გიორგაძე. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გვ. 19.

**გ. ორი და მეტი ავტორი :** ავტორი 1 და ავტორი 2. წიგნის დასახელება. გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი. გვერდი.

მაგ: სანდრო სანგუძე, გიორგი გიორგაძე, მარიამ მაისურაძე. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 21.

**მოკლედ:**

პირველი ავტორის გვარი, სამი წერტილი. წიგნის დასახელება. (გრძელი სათაურის შემთხვევაში დასაშვებია სათაურის მოკლედ მითითება), გვერდი.

მაგ: ს. სანგუძე... ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გვ. 21.

## 2. ელექტრონული წიგნი

**ა. ერთი ავტორი:** ავტორი. წიგნის დასახელება. გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი. გვერდი, ლინკი.

მაგ: სანდრო სანგუძე. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, 2018, გვ. 17 [www.?????.com](http://www.?????.com)

**მოკლედ:**

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, წიგნის დასახელება (გრძელი სათაურის შემთხვევაში დასაშვებია სათაურის მოკლედ მითითება), გვერდი.

მაგ: ს. სანგუძე. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გვ. 17.

**ბ. ორზე ავტორი:** ავტორი 1 და ავტორი 2. წიგნის დასახელება. გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი. გვერდი, ლინკი.

მაგ: სანდრო სანგუძე, გიორგი გიორგაძე. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, თბილისი, გვ. 19. [www.?????.com](http://www.?????.com)

**მოკლედ:**

ავტორების სახელების ინიციალები და გვარები. წიგნის დასახელება. (გრძელი სათაურის შემთხვევაში დასაშვებია სათაურის მოკლედ მითითება), გვერდი.

მაგ: ს. სანგუძე, გ. გიორგაძე. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გვ. 19.

**გ. ორი და მეტი ავტორი :** ავტორი 1 და ავტორი 2. წიგნის დასახელება. გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი. გვერდი, ლინკი.

მაგ: სანდრო სანგუძე, გიორგი გიორგაძე, მარიამ მაისურაძე. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 21. [www.?????.com](http://www.?????.com)

**მოკლედ:**

პირველი ავტორის გვარი, სამი წერტილი. წიგნის დასახელება. (გრძელი სათაურის შემთხვევაში დასაშვებია სათაურის მოკლედ მითითება), გვერდი.

მაგ: ს. სანგუძე... ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გვ. 21.

### 3. სტატია ჟურნალში;

ავტორი. სტატიის დასახელება. ჟურნალის დასახელება, ნომერი, წელი გვერდი.

მაგ: **სანდრო სანგუძე**. ქართული უნივერსიტეტის დაარსება, ქართული უნივერსიტეტის შრომები, N1, 2015, გვ. 5.

მოკლედ:

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, სტატიის დასახელება, გვერდი.

მაგ: **ს. სანგუძე**. ქართული უნივერსიტეტის დაარსება. გვ. 5.

### 4. სტატია ელექტრონულ ჟურნალში;

ავტორი. სტატიის დასახელება. ჟურნალის დასახელება, ნომერი, წელი გვერდი. ლინკი

მაგ: **სანდრო სანგუძე**. ქართული უნივერსიტეტის დაარსება, ქართული უნივერსიტეტის შრომები, N1, 2015, გვ. 5. [www.????.com](http://www.????.com)

მოკლედ:

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, სტატიის დასახელება, გვერდი.

მაგ: **ს. სანგუძე**. ქართული უნივერსიტეტის დაარსება. გვ. 5.

### 5. დისერტაცია;

ავტორი, სადისერტაციო თემის დასახელება, დისერტაციის ტიპი (სადოქტორო ა.შ.). მითითება იმ უნივერსიტეტის რომელში დაცვა მოხდა, წელი, გვერდი (არსებობის შემთხვევაში ლინკი) .

მაგ: **სანდრო სანგუძე**. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. სადოქტორო ნაშრომი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. 2017. გვ. 123. [www.sangu????.ge](http://www.sangu????.ge)

მოკლედ:

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი. სადისერტაციო თემის დასახელება. გვერდი.

მაგ: **ს. სანგუძე**. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გვ. 123.

### 6. ვებ-გვერდი;

ავტორი. თემის დასახელება. ბოლო განახლების დრო. ლინკი.

მაგ: **სანდრო სანგუძე**. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. 13/12/2017, [www.????.com](http://www.????.com)

მოკლედ:

ლინკი.

მაგ: [www.????.com](http://www.????.com)

### 7. სტატია სამეცნიერო კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებულებში;

მოხსენების ავტორი. მოხსენების დასახელება. კონფერენციის მოხსენებათა კრებულის დასახელება, კონფერენციის გამართვის ადგილი, წელი, თვე და რიცხვი. გვერდი.

მაგ: **სანდრო სანგუძე**. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. განათლების ისტორია საქართველოში, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 19/05/2017, გვ. 67.

**მოკლედ:**

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი. მოხსენების დასახელება. გვერდი.  
მაგ: **სანდრო სანგუძე**. ქართული უნივერსიტეტის ისტორია. გვ. 67.

## **8. სტატია ჟურნალში ან გაზეთში;**

სტატიის ავტორი. სტატიის სათაური. ჟურნალის ან გაზეთის დასახელება, ნომერი, თარიღი, გვერდი. (არსებობის შემთხვევაში დასაშვებია ლინკის მითითება).

მაგ: **სანდრო სანგუძე**. განათლების პრობლემა. გაზეთი „ივერია“ N1, 1905, გვ. 2.

**მოკლედ:**

ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, სტატიის დასახელება, გვერდი.

მაგ: **ს. სანგუძე**. განათლების პრობლემა. გვ. 2.

*პ.ს, უავტორო სტატიის შემთხვევაში ავტორის გარეშე დაწერეთ ზემოთ აღნიშნული წესის მიხედვით.*

## **9. არქივი**

არქივის დასახელება, ფონდის ნომერი, აღწერის ნომერი, საქმის ნომერი, გვერდი

მაგ: საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 14, აღწერა 1, საქმე 75, ფურცლები 25-26.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 73, ფურცლები 4-11.